პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დ. ჩოხატაური

..ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 86-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ..ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში“ (www.matsne.gov.ge; 02/03/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016330).

მუხლი 2.

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

..ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი, რეგისტრირებულ ამომრჩევლთა სიის ბლანკის, პეტიციის წარდგენის(განხილვის) თაობაზე განცხადების ფორმისა და პეტიციის რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ,,

2. დადგენილების პირველ, მე-2 და მე-3 მუხლებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩევლთა სიის ბლანკი (დანართი №1).

მუხლი2. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე განცხადების ფორმა (დანართი №2).

მუხლი3. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გასაცემი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა (დანართი №3).

3. დადგენილების N1 დანართის სათაურში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩევლთა სიის ბლანკი.

4. დადგენილების N2 დანართის სათაურში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე განცხადების ფორმა.

5. დადგენილების N3 დანართის სათაურში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გასაცემი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.